ინვესტირება ადგილობრივ შესაძლებლობებში:
გზა ჯავახეთის ტრანსფორმაციისკენ

ოლესია ვართანიან

ოქტომბერი 2025

ინვესტირება ადგილობრივ შესაძლებლობებში:
გზა ჯავახეთის ტრანსფორმაციისკენ
ოლესია ვართანიან

რედაქტორი: მედეა ტურაშვილი
ქართული თარგმანი: ნათია ნადირაძე
თარგმანის რედაქტორი: ნინო ბექიშვილი
დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე
რუკა: ირაკლი უგულავა

სარჩევი

რეზიუმე 4

I. როგორ იქმნებოდა ჯავახეთის „ბუშტი“ 10

1. პოლიტიკური სტაგნაციის საფუძვლები 13
2. ადგილობრივი რეალობა სამოქალაქო საზოგადოების მხარდასაჭერად 15

II. სათემო ინიციატივები 17

1. გულნარა და ქალთა ჯანმრთელობა 19
2. ლიდა და სამკითხველო კლუბი 20
3. ენოქი და ფერმერები 23
4. პარუირი და სოფლის პრობლემები 23
5. ეშტია და სოფლის ფონდი 24
6. კუმურდო და სკოლა, რომელმაც ყველაფერი შეცვალა 25
7. სომხური ფონდი და მეხსიერების მუზეუმი 26

დასკვნა 28

რეზიუმე

დეკემბრის ერთ სუსხიან დღეს, ჯავახეთის რეგიონის მთავარი ქალაქის – ახალქალაქის ცენტრში უხმაურო რევოლუცია მოხდა. სომხური ანბანის შემქმნელის ძეგლის წინ, ექვსმა ჟურნალისტმა – ექვსმა ქალმა და ერთმა სამოქალაქო აქტივისტმა სხვადასხვა ენაზე შესრულებული პოსტერები აღმართეს და ასე გამოხატეს სოლიდარობა იმ რეპორტიორების მიმართ, რომლებიც სხეულის მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში აღმოჩნდნენ, მას შემდეგ, რაც 2025 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს დედაქალაქში გამართული ქუჩის აქციები პოლიციის ძალებმა ძალადობრივად დაარბიეს.

ამ დოკუმენტში მოთხრობილია ჯავახეთში, სათემო დონეზე განხორციელებული რამდენიმე ინიციატივის შესახებ. ამ ინიციატივების დიდი ნაწილი მოხალისეობრივია. მათი წამოწყება არ უკავშირდება დონორების მხარდაჭერას. რამდენიმე მათგანი აბსოლუტურად არაფორმალურია.

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი დემონსტრაციები საქართველოს სხვა რეგიონებშიც მიმდინარეობდა, ეს ახალქალაქისთვის უპრეცედენტო მოვლენა იყო. რეგიონში, სადაც უამრავი პრობლემაა, ადგილობრივი მოსახლეობა თავს არიდებს საჯარო სივრცეში უკმაყოფილების გამოხატვის ყველაზე საბაზისო ფორმებსაც კი, რომ არაფერი ვთქვათ ასობით კილომეტრის დაშორებით, თბილისში მიმდინარე მოვლენებზე რეაგირებაზე. პროტესტის ამგვარმა ფორმამ გააოგნა ქალაქი. „გამვლელები არა მხოლოდ უარს ამბობდნენ ჩვენს მხარდაჭერაზე“, – იხსენებს ახალქალაქის პროტესტის ერთ-ერთი მონაწილე, „ჩვენკენ გამოხედვაც კი ეუხერხულებოდათ“. ხანმოკლე აქციის შემდეგ, ჯგუფმა დაკეცა პოსტერები და უხმაუროდ გაუჩინარდა. ამ ამბავმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჯავახეთში ამგვარი აქტივიზმი არ მუშაობს.

ეს ეპიზოდი ნათლად გვიჩვენებს, როგორია ცხოვრება საქართველოს უკიდურესი სამხრეთის მთიან რეგიონში, რომელსაც ადგილობრივი სომხური მოსახლეობა „ჯავახ“-ად მოიხსენიებს. რეგიონის 67.000 მკვიდრთა დიდი უმეტესობა ეთნიკურად სომეხია. მათ ქართული ცუდად იციან და ნაკლებად აღიქვამენ საკუთარ თავს ქვეყნის ნაწილად. მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთი აგერ უკვე ორი ათეული წელია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საინტეგრაციო პროგრამების სამიზნეა, პროგრესი მცირეა, ხოლო პროგრამების შედეგები – საეჭვო. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონს დანარჩენ საქართველოსთან, ასევე მეზობელ თურქეთსა და სომხეთთან სავაჭრო და სატრანსპორტო კავშირები აქვს, მოსახლეობა კვლავ იზოლირებულად, ერთგვარ ანკლავში აგრძელებს ცხოვრებას, რომლის კონტურები გარე დამკვირვებლისთვის ბუნდოვანია.

ამგვარი იზოლაცია კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ჯავახეთის მოსახლეობის მოწყვლადობას. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონს, რომელიც ორი მუნიციპალიტეტისგან შედგება, ჰყავს ადგილობრივი, არჩეული ხელისუფლება, მისი უფლებამოსილება შეზღუდულია და საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს უმწვავეს გამომწვევებთან გამკლავებას. სამაგიეროდ, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებს გადაჭარბებულად დიდ როლი აქვთ რეგიონში. სეპარატიზმსა და ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან ბრძოლის დეკლარირებული მოტივით, უკვე ათწლეულებია, სა-

ხელმწიფო უსაფრთხოების სტრუქტურები მონაწილეობენ რეგიონისთვის ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. როდესაც ადგილობრივი, იქნება ეს აქტივისტი თუ უბრალოდ, ადამიანი, ვინც მკაფიოდ გამოხატავს საკუთარ აზრს, გადააბიჯებს ზღვარს ისე, რომ დაუახლოვდება პოლიტიკური ოპოზიციის მოსაზრებებს, იგი არა მხოლოდ დევნის, არამედ შანტაჟის მსხვერპლიც გახდება და სამიზნე მისი ოჯახიც იქნება. ამ პრობლემებს მარტო ვერავინ გაუმკლავდება.

გარედან შველასაც არავინ ელის. 1990-იან წლებში, მეზობელმა სომხეთმა რეგიონის ელიტების დახმარება გადაწყვიტა, რაც გულისხმობდა გარკვეული დონის პატრონაჟს, ფინანსურ მხარდაჭერას, ენერგორესურსების მიწოდებას და პოლიტიკურ ზურგს. თუმცა, დროთა განმავლობაში, აზერბაიჯანთან და თურქეთთან მოუგვარებელი კონფლიქტების ფონზე სომხეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაზე შესუსტდა. სომხეთმა, რომელსაც სურდა სახმელეთო კავშირები შეენარჩუნებინა მაშინდელ ძირითად პარტნიორთან — რუსეთთან, ვერ გარისკა თბილისთან მოსალოდნელი კონფლიქტი და დაძაბულობა. 2000-იანი წლების დასაწყისიდან სომხეთმა ეტაპობრივად შეაჩერა პირდაპირი ჩართულობა ჯავახეთში, საბოლოოდ კი, სრულად გაწყვიტა კავშირი სომხურ პოლიტიკურ ჯგუფებსა და ჯავახეთის აქტივისტებთან, რომელთა რიტორიკა საქართველოს ხელისუფლების უკმაყოფილებას იწვევდა.

თბილისიდან მომდინარე ზეწოლის სიმძიმე განსაკუთრებით თვალსაჩინო არჩევნების დროს ხდება. დედაქალაქში მიმდინარე პოლიტიკური პაექრობის მიუხედავად, ჯავახეთი ტრადიციულად გამოირჩევა მმართველი პარტიის მიმართ რეკორდულად მყარი მხარდაჭერით. ბოლო საპარლამენტო არჩევნებში, რომლებიც გახანგრძლივებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე ჩატარდა, რეგიონში მმართველმა პარტიამ ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალი — ხმების 90% მოიპოვაიგივე მოხდა 12 წლით ადრე, როდესაც მაშინდელმა მმართველმა ძალამ, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნები თითქმის ყველგან წააგო, მაგრამ არა — საქართველოს სამხრეთში.

> ეს ინიციატივები წარმოადგენს დაბალბიუჯეტიან, „შინაურ“ გამოსავლებს, თუმცა მნიშვნელოვან ცვლილებებს მოასწავებს, რომლებიც ადგილობრივ დონეზე თემების გაძლიერებას ეხება.

ჯავახეთის პოლიტიკური დისფუნქციის ასეთი მკაფიო გამოვლინება ხშირად ხდება ქვეყანაში გაცხარებული დებატების საგანი. ოპოზიციის წარმომადგენლები და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები პოლიტიკურ უმოქმედობაში სდებენ ბრალს სომხურ მოსახლეობას, ხოლო მთავრობას — მანიპულირებაში არჩევნების გაყალბების მიზნით. თუმცა, დებატები სწრაფად მინავლდება ხოლმე. ამ პრობლემების გამომწვევ მიზეზს ნაკლებად აქცევენ ყურადღებას და რეგიონში სიტუაცია უცვლელი რჩება. ოპოზიციური პარტიებისთვის ჯავახეთი ნაკლებად მიმზიდველია: ის მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მმართველ ელიტებზე განურჩევლად იმისა, თუ ვინ არის ხელისუფლებაში და ამომრჩევლების რიცხვიც, ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით, დიდი არ არის. ერთ მცირე გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის ინტეგრაციის პროექტები, რომელთაც გასული ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელეს ჯავახეთის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში. და მაინც, სხვა სფეროებში ფართომასშტაბიანი რეფორმების არარსებობის პირობებში, ამ ძალისხმევასაც არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცვლილება.

მიუხედავად ამ მძიმე, მხუთავი რეალობისა, ჯავახეთი მიუყვება თავის წყნარ ცხოვრებას. საპროტესტო აქციებიც იმართება და ცხარე კამათებიც საკრებულოს სხდომებზე. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელმაც იცის, როგორ უნდა ეკამათოს მუნიციპალური ხელისუფლების წარმომადგენლებს, ხშირად იმაღლებს ხმას. თუმცა, ამგვარი აქტივობა რეგიონის საზღვრებს არ სცდება და უსასრულო ფორმალურ თუ არაფორმალურ შეზღუდვებს ემორჩილება. მიუხედავად ამისა, ეს პატარა, კონტროლს დაქვემდებარებული სივრცე მაინც იძლევა სათემო ინიციატივების აღმოცენების საშუალებას. ზოგი მათგანი ნამდვილად იმსახურებს აღიარებას.

წინამდებარე დოკუმენტში მოთხრობილია ჯავახეთში, სათემო დონეზე განხორციელებული რამდენიმე ინიციატივის შესახებ. ამ ინიციატივების დიდი ნაწილი მოხალისეობრივია. მათი წამოწყება არ უკავშირდება დონორების მხარდაჭერას. რამდენიმე მათგანი აბსოლუტურად არაფორმალურია. თუმცა, ეს ინიციატივები პასუხობს ნამდვილ, სტრუქტურულ პრობლემებს, როგორიცაა, მაგალითად, განათლება, იზოლაცია, ეკონომიკური სტაგნაცია. მათი წარმატების საწინდარი გახლავთ ნდობა იმ ადამიანების მხრიდან, რომელთა დასახმარებლადაც შეიქმნა ეს ინიციატივები. ჩვენ არ ვსაუბრობთ „პროექტებზე“ ტრადიციული გაგებით. ეს ინიციატივები წარმოადგენს დაბალბიუჯეტიან, „შინაურ“ გამოსავლებს, თუმცა მნიშვნელოვან ცვლილებებს მოასწავებს, რომლებიც ადგილობრივ დონეზე თემების გაძლიერებას ეხება.

ხსენებული ინიციატივები, საბაზისო მხარდაჭერის შედეგად, როგორიცაა, მაგალითად, ცოდნის გაზიარების ქსელების ჩამოყალიბება, ინფორმაციის და გამოცდილების მიმოცვლის მექანიზმები და მცირე გრანტები, შეიძლება ჯავახეთში მედეგი სამოქალაქო კულტურის დასაყრდენად იქცეს. იმ დროს, როდესაც მთელს საქართველოში ვიწროვდება სივრცე სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისთვის, სათემო დონის მოხალისეობა შესაძლებელია დემოკრატიული ჩართულობის ერთადერთ ქმედუნარიან ფორმად დარჩეს. ჯავახეთში, დიდი ალბათობით, ეს პროცესი უკვე დაწყებულია.

მათი მასშტაბის მიუხედავად, სათემო ინიციატივები, აღიარებას ნამდვილად იმსახურებს. მხარდაჭერა, შესაძლოა, ყოველთვის არ იყოს ფინანსური: ბევრი ინიციატივა თვითკმარია. მაგრამ მათ ნამდვილად აქვთ განვითარების და მასშტაბის გაფართოების პოტენციალი, რაც, შესაძლოა, რეგიონულ ცენტრებთან მჭიდრო კავშირების დამყარებით, ინფორმაციისა და გამოცდილების მიმოცვლითა და საგანმანათლებლო და ინფორმაციის გაზიარების ქსელებში მათი ინტეგრირებით მოხერხდეს. ამგვარი მცდელობების შენარჩუნება არა მხოლოდ დაეხმარებოდა ჯავახეთის ჩაკეტილ საზოგადოებაში დიალოგის შენარჩუნებას, არამედ საფუძველსაც ჩაუყრიდა სამოქალაქო და პოლიტიკურ მონაწილეობას მომავალში, როდესაც საქართველო ამისთვის მზად იქნება.

გულნარა და ქალების ჯანმრთელობა. 50 წელს გადაცილებულმა გულნარა ელიზბარიანმა საკუთარ მოწოდებას მაშინ მიაგნო, როდესაც, როგორც სათემო აქტივისტი, იმ ქალების ქსელს შეუერთდა, რომლებიც მოშორებით მდებარე სოფლებს სტუმრობენ რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ტაბუს გასარღვევად და ადგილობრივი ქალების დახმარებას გულახდილი საუბრებით, მცირე ბიზნეს იდეებისა და თვითორგანიზების წახალისებით ცდილობენ. გულნარა, რომელმაც შვილები მარტომ გაზარდა, სანამ მისი ქმარი საზღვარგარეთ მუშაობდა, ახლა ნდობით სარგებლობს, როდესაც საქმე სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს ეხება. ეს ის თემაა, რომელსაც კონსერვატულ საზოგადოებაში იშვიათად განიხილავენ. მიუხედავად ჯანმრთელობის პრობლემებისა, მათ შორის, სტრესით გამოწვეული გულის შეტევისა, რაც საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებაზე შეზღუდვების გამოცხადებას მოჰყვა, გულნარა დანებებას არ აპირებს. დღეს ის აქტიურად მონაწილეობს ისეთ ახალ ინიციატივებში, როგორიცაა ქართული ენის გაკვე-

თილები ყველა ასაკის ქალისთვის და პლასტმასის ბოთლების შეგროვებისა და გადამუშავების კამპანია დაბალშემოსავლიანი ოჯახების დასახმარებლად. მისი ჩუმი რევოლუცია მოწმობს, თუ როგორ პასუხობს ხშირად არაფორმალური და მთლიანად მოხალისეობრივი სათემო ინიციატივები კრიტიკულ პრობლემებს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და განათლების მიმართულებით და როგორ აღვივებს ქალთა შორის სოლიდარობას მაშინ, როდესაც ფორმალური ინსტიტუციები მარცხდებიან.

ლიდა და სამკითხველო კლუბი. სოფელ ორჯაში ლიდა ალმასიანმა მოსწავლეებსა და სხვა ახალგაზრდებთან ერთად წიგნების კლუბი დაარსა. კლუბი ასევე ითავსებს კრიტიკული აზროვნების, დიალოგის წარმოებისა და თავისუფლებისკენ სწრაფვის კუნძულის ფუნქციას სოფელში, სადაც კონსერვატიული განწყობები ჯერ კიდევ მძლავრია. წიგნები ისეთ თემებზე, როგორიცაა პირადი თავისუფლება და ეთიკა, ერევნიდან და თბილისიდან ჩამოაქვთ. კლუბი ხელს უწყობს ღია დისკუსიას როგორც ლიტერატურის, ასევე მიმდინარე მოვლენების ირგვლივ. მას ხშირად სტუმრობენ მოწვეული მომხსენებლები სხვა რეგიონებიდან. რადგან ინიციატივა სრულად არაფორმალურია და მუდმივი სივრცეც არ გააჩნია, შეხვედრები და ღონისძიებები ხშირად ღია ცის ქვეშ ტარდება. გარდა ამისა, დაწესებულია მცირე საწევრო გადასახადი, რაც წიგნების კოლექციის გამდიდრებას ხმარდება. ლიდა, რომელიც დროს თბილისსა და მშობლიურ სოფელს შორის ანაწილებს, ცდილობს მომავალი თაობა იდეებით აღჭურვოს, ცნობისმოყვარეობა და თანაგრძნობა გაუღვივოს და ამით დაუპირისპირდეს იმ აგრესიას, რომელსაც ის ბავშვობასა და ახალგაზრდობაში გრძნობდა.

ენოქი და ფერმერები. სამსახურის დაკარგვის შემდეგ, ენოქ ბაბაჯანიანმა ჯავახეთში პირველი წარმატებული სასათბურე მეურნეობა დააარსა — საკუთარი ხელით, ფაქტობრივად არაფრიდან, ენოქმა წარმატებული ბიზნესი შექმნა. რეგიონში, სადაც კულტურების უმეტესობა სიცივეს ვერ უძლებს, ენოქმა პრობლემას მზის ენერგიით, ნერგების გამოზრდის მიწოდების ჯაჭვის შექმნითა და უზარმაზარი მონდომებით სძლია. იქ, სადაც ადგილობრივი ბიუროკრატია ხშირად აფერხებს ფორმალური რეფორმების პროცესს, ენოქის არაფორმალური ციფრული ქსელი ცვლილებების მძლავრ კატალიზატორად გადაიქცა და ახლა მისი წყალობით სოფლად მცხოვრები მოსახლეობა სულ სხვანაირად უყურებს ფერმერობას, მეწარმეობას და მედეგობასაც.

პარუირი და სოფლის პრობლემები. პარუირი ავადმყოფობის გამო საწოლსა და ჟანგბადის მანქანას არის მიჯაჭვული**.** მან სოფლის ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება ფეისბუქიით დაიწყო და მალე გადაიქცა ცვლილებების კატალიზატორად. მის გვერდზე, რომელსაც თვალს 2.500 ადამიანი ადევნებს, ხშირად ქვეყნდება ლექსები, ფოტოები და კომენტარები ადგილობრივი გამოწვევების შესახებ — დაწყებული ნარჩენების შეგროვების საკითხებიდან დამთავრებული მიუსაფარი ცხოველების მოუგვარებელი პრობლემებით. პარუირს არც კომპიუტერი აქვს და არც რაიმე განათლება მიუღია ამ მიმართულებით. იგი მობილური ტელეფონის მეშვეობით წერს, ამონტაჟებს და აქვეყნებს მასალებს. მისი პლატფორმა სერიოზულ კონკურენციას უწევს რეგიონულ და ადგილობრივ მედიას. პარუირის პოსტების შთაგონებით რამდენჯერმე მოეწყო დასუფთავების აქცია და ფონდების მოძიების კამპანია. გაჩნდა ინტერესი დიდი ხნის მივიწყებული თემის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად პარუირს გაბედულება სოფელში გულსწყრომას იწვევდა, მან მალევე დაიმსახურა თანასოფლელების პატივისცემა და ამით დაადასტურა, რომ ხანდახან ერთი ხმაც შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

ეშტია და სოფლის ფონდი. სოფელ ეშტიაში, პანდემიის დროს შექმნილი მცირე WhatsApp ჯგუფი, მძლავრ ინიციატივად გადაიქცა, რომელიც თანხის მობილიზებას უზრუნველყოფს სოფლის გადაუდებელი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, იქნება ეს სამედიცინო მომსახურების

ანაზღაურება თუ სწავლის გადასახადი. თანხა სოფლის მცხოვრებლებისა და დიასპორის წევრებისგან ყოველთვიურად გროვდება. ინიციატივას, რომელიც „გააკეთე სიკეთე“-ს სახელითაა ცნობილი, 1.000-ზე მეტი აქტიური წევრი ჰყავს. მისი მეშვეობით დაფინანსდა გზის შეკეთების სამუშაოები, გაიმართა წყლის ინფრასტრუქტურა. სოფელმა სტადიონის მოწყობაც კი შეძლო. სოფლის მოსახლეობა ძირითადად კათოლიკე სომხებისგან შედგება, რომლებიც მცირერიცხოვან ჯგუფს წარმოადგენენ. ეშტიას მაგალითი ცხადყოფს, თუ როგორ ახერხებს სათემო ქველმოქმედება დიდ ტერიტორიაზე განფენილი ქსელების შედუღაბებას და ხელშესახები შედეგების მიღწევას. მიგრაციის შედეგად დაცლილ რეგიონში, ფონდმა განამტკიცა სოციალური კავშირები და სიცოცხლის ახალი ნაპერწკალი გააჩინა მთავრობის მხრიდან ჩარევისა და რეაგირების გარეშე. ნაპერწკალს ინარჩუნებს ნდობა, ინიციატივა და იმ ადამიანების შეუვალი ერთგულება, რომლებმაც უარი თქვეს სხვაგან წასვლაზე.

კუმურდო და სკოლა, რომელმაც ყველაფერი შეცვალა. სოფელ კუმურდოში ერთმა შემოწირულებამ გეზი უცვალა ადგილობრივი თემის მომავალს. შემოწირულება ანონიმი ქველმოქმედის ხელს ეკუთვნოდა, თუმცა სოფელში ყველამ იცის, ვინაა ის — კუმორდოში დაბადებული მეწარმე ჰაიკ მგდესიანი. სკოლის ნახანძრალი შენობის ადგილზე, ახლა თანამედროვე, უახლესი სტანდარტების სკოლა დგას, რომლის მშენებლობა 4 მილიონ დოლარზე მეტი დაჯდა. სკოლას აქვს სამეცნიერო ლაბორატორია, საცურაო აუზი და სპორტული მოედნები, რომლის მსგავსი რეგიონში არ მოიძებნება. სკოლის გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ, კუმურდოში გაჩნდა ახალი საბავშვო ბაღები, ქვაფენილიანი ქუჩები და ადმინისტრაციული შენობა — უტყუარი საბუთი იმისა, თუ როგორ მოჰყვა გულუხვობის ერთ გამოვლინებას საჯარო ინვესტიციები. მგდესიანის ჩუმი ქველმოქმედება, რომელიც სოფელთან მისი უწყვეტი კავშირიდან მომდინარეობს, საქართველოში ტრანსფორმაციული სოფლის განვითარების ერთ-ერთ იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს: აქ მთავარი მხოლოდ სკოლა კი არ არის, არამედ იმის დემონსტრირება, თუ რა არის შესაძლებელი.

სომხური ფონდი და მეხსიერების მუზეუმი. „ჯავახეთის დახმარების ფონდი“, რომელიც რეგიონთან კავშირების მქონე დიასპორის წარმომადგენლების მხარდაჭერით დაარსდა, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და განათლების მხარდაჭერაში საზღვრისპირა დასახლებაში, რომელიც ხშირად რჩება დახმარების ტრადიციული პროგრამების მიღმა. ფონდის მიღწევებიდან აღსანიშნავია ორი ისტორიული სახლ-მუზეუმის აღდგენა: ერთი მათგანი ეძღვნება მე-19 საუკუნის ფოლკლორული მუსიკის შემსრულებელს ჯივანის, ხოლო მეორე — მეოცე საუკუნეში მოღვაწე პოეტ ვაჰან ტერიანს. ახალი გამოფენების, ვებგვერდების და კულტურული პროგრამების მეშვეობით, მათ შორის სომეხი და ქართველი ხელისუფლების წარმომადგენლების ერთობლივი მონაწილეობით, ფონდმა მეხსიერება და მოგონებები ცოცხალ და საზიარო ღირებულებად გარდაქმნა. ტრადიციული, უცხოური დაფინანსების მილევის ფონზე, დიასპორების მიერ მხარდაჭერილი და მთავრობის მიერ კოორდინირებული ჩართულობის ეს მოდელი, შესაძლოა, აღმოჩნდეს ის მექანიზმი, რომელიც სიცოცხლეს შეუნარჩუნებს რეგიონის სამოქალაქო საზოგადოებას.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიში ეფუძნება 2025 წლის აპრილიდან ამავე წლის ივლისამდე განხორციელებული სამაგიდე კვლევისა და საველე მუშაობის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს. კვლევის ფარგლებში, ჯავახეთის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტის გაცნობის მიზნით, შესწავლილ იქნა თემატიკის ირგვლივ არსებული ლიტერატურა, კერძოდ, აკადემიური ნაშრომები, პოლიტიკის დოკუმენტები, მედიაში გამოქვეყნებული ანგარიშები და სხვა შესაბამისი ლიტერატურა. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე ჩაღრმავებული ინტერვიუ, როგორც ციფრული პლატფორმების გამოყენებით, ასევე ფიზიკური შეხვედრების მეშვეობით. რესპონდენტებად შერჩეულ იქნენ თბილისსა და ერევანში მომუშავე და მაცხოვრებლები პირები. კვლევის მიზნებისთვის უდიდესი მნიშვნელობა იქონია ჯავახეთში განხორციელებულმა საველე ვიზიტებმა, რომელთა ფარგლებშიც ავტორმა ჩაატარა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები ადგილობრივ აქტივისტებთან, მოქმედ და ყოფილ მოხელეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ჟურნალისტებთან და ადგილობრივ მცხოვრებლებთან. ამ საუბრების წყალობით მოპოვებულ იქნა ფასდაუდებელი მასალა პირადი გამოცდილების, აღქმებისა და დღეისთვის რეგიონის წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ.



I.
როგორ იქმნებოდა ჯავახეთის „ბუშტი“

რეგიონის იზოლაცია ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა. საბჭოთა პერიოდში ჯავახეთზე გამავალი საზღვარი თურქეთთან სტრატეგიულ მნიშვნელობას სძენდა მის მდებარეობას. ამის გამო, რეგიონის სხვადასხვა სოფლელში განლაგებული იყო მუდმივი სამხედრო შენაერთები, საკუთარი წესებითა და შეზღუდვებით, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობაზეც ვრცელდებოდა. 1950-იანი წლების დასაწყისში, მას შემდეგ, რაც თურქეთის ნატოს წევრი გახდა, ჯავახეთი დახურულ ზონად გამოცხადდა, სადაც მხოლოდ საბჭოთა უწყებების მიერ გაცემული სპეციალური საშვით იყო შესაძლებელი შესვლა.[1]

საბჭოთა კავშირის დაშლას ცვლილებებიც მოჰყვა, თუმცა არა იზოლაციის დასრულების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთში არც ერთ ჯგუფს არ მოუთხოვია დამოუკიდებლობა, სომხური მოსახლეობა სულ უფრო იხრებოდა მეზობელი სომხეთისკენ,[2] რაც გამოწვეული იყო არა მხოლოდ ლინგვისტური და კულტურული სიახლოვით, არამედ იმ დროისთვის სომხეთის ეკონომიკური უპირატესობით[3] საქართველოსთან შედარებით, სადაც მწვავე სამოქალაქო დაპირისპირების პარალელურად, ბრძოლები ორ სეპარატისტულ რეგიონშიც მიმდინარეობდა. 1990-იანი წლები გამორჩეული იყო ჯავახეთის მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციით. ზოგიერთი მონაცემებით, რეგიონის მოსახლეობა თითქმის განახევრდა საბჭოთა პერიოდის დემოგრაფიულ პიკთან შედარებით. ბოლო, 2024 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, რეგიონის მოსახლეობა ამჟამად 67.000 მცხოვრებელს ითვლის.[4]

	1989		2002		2024	
	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	69,3		45		43,7	
	33,7	35,6	22,1	22,1	21,6	22,1
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	38,9		24,5		23	
	19,2	19,8	12,2	12,3	11,4	11,6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; Demoscope Weekly.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის მოსახლეობის უმეტესობას სომხები შეადგენენ, ისინი მაინც განსხვავდებიან სომხეთში მოსახლე იმავე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისგან. მათი დიალექტი დასავლეთ სომხურ ჯგუფს მეკუთვნება, რომელზეც ძირითადად მეოცე საუკუნის დასაწყისში გენოციდს გამოქცეული შუა აღმოსავლეთში, ამერიკის კონტინეტებსა და ევროპის გარკვეულ რეგიონებში მოსახლე დიასპორის ჯგუფები საუბრობენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დიალექტის გაგება სომხეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს შეუძლია, მისი გამოყენება არ არის მიღებული ოფიციალურ კომუნიკაციაში, განათლების სისტემასა და მედიაში.

თუმცა, ლინგვისტურ განსხვავებებს ხელი არ შეუშლია ჯავახეთიდან გადასულებისთვის სომხურ საზოგადოებაში ინტეგრირების პროცესში. მათგან მრავალია ისეთი, რომლებიც ოფიციალურ თანამდებობებზე, მათ შორის, სომხეთის მთავრობის უმაღლეს ეშელონებშიც მსახურობს და აქ-

1 საერთაშორისო კრიზისების ჯგუფი, „ჯავახეთის რეგიონის გამოწვევები ინტეგრაციის კუთხით“, ევროპის ბრიფინგი N63, 23 მაისი 2011.

2 საერთაშორისო კრიზისების ჯგუფი, „საქართველოს სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობები“, ევროპის ანგარიში N178, 22 ნოემბერი 2006.

3 ქრისტიან ბედისი, ენრიკე გელბარდი, გევორგ სარგსიანი და დავიდე ლომბარდო, „სომხეთი: გზა მდგრადი ზრდისკენ“, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2005.

4 2024 წლის აღწერის წინასწარი შედეგების გასაცნობად ეწვიეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდს: https://census2024.geostat.ge/ka/results

ტიურად მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო ცხოვრებაში. 2010-იან წლებამდე, სომხეთი მაგნიტივით იზიდავდა ჯავახ ახალგაზრდებს. ეს სურათი მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა, რაც საქართველოს მთავრობამ წამოიწყო რიგი ინტეგრაციის პროგრამებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა მიზიდულობის ცენტრის თბილისში გადატანას.[5]



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დღეისთვის საქართველოს დედაქალაქი ბევრად უფრო მიმზიდველია ჯავახი ახალგაზრდებისთვის, ვიდრე ერევანი.[6] საქართველოს უმაღლესი განათლების დასაწესებლებში სწავლის გასაგრძელებლად მხოლოდ ზოგადი უნარების სომხურ ენაზე ჩაბარება კმარა. გამოცდის ჩაბარების შემდეგ, წარმატებული კანდიდატები უფასოდ გადიან ქართული ენის შემსწავლელ ერთწლიან კურსს, რის შემდეგაც ირიცხებიან სასურველ პროგრამაზე. კურსდამთავრებულები შედეგად იღებენ კვალიფიკაციას და თავისუფლად ფლობენ სახელმწიფო ენას. ეს კი უდავო უპირატესობას ანიჭებს მათ უფროს თაობებთან შედარებით, რომლებმაც ქართული კარგად არ იციან და შესაბამისად, უჭირთ საჯარო უწყებებში დასაქმება და არსებულ ბიუროკრატიაში გზის გაკვალვა. პროგრამამ ხელი შეუწყო ახალგაზრდების მიგრაციას ჯავახეთიდან თბილისში. ახალდამთავრებულები ასევე მუშაობენ ქართულ კომპანიებთან და ეხმარებიან მათ ადგილობრივი საქონლისთვის ახალი ბაზრის ათვისებაში.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა საუნივერსიტეტო განათლებამ გაზარდა ქართულ ენაზე მოსაუბრე ეთნიკური სომხების რიცხვი, ადგილობრივი ხელისუფლება დღემდე ვერ ახერხებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური პრობლემების მოგვარებას. გასულ წლებში ჯავახეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიც გაიზარდა, თუმცა, ძალაში რჩება ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებაზე ქვეყნის კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვები. მუნიციპალურ კომპეტენციებში შედის გზების შეკეთება და გარე განათების მოწყობა, თუმცა, ისინი უძლურნი არიან კრიზისული სიტუაციების წინაშე და ხშირად არც თბილისში წარმოებულ პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად შესწევთ ძალა. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც, მაგალითად, ეხება განათლებას, ცენტრალურ დონზე მიიღება — საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ.

5 ჯონათან უიტლი,"ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებიდან ხუთი წლის შემდეგ", ECMI Working Paper #44, სექტემბერი, 2009.

6 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიხედვით, გამარტივებული სისტემით მოსარგებლეთა რიცხვი 2010-დან 2018 წლების პერიოდში თითქმის 6-ჯერ გაიზარდა. იხილეთ 1+4 საგანმანათლებლო პროგრამა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

ცენტრზე ამგვარი გადაჭარბებული დამოკიდებულება აღვივებს პოლიტიკურ კორუფციას. ადგილობრივ პრობლემებზე ყურადღების მოსაპყრობად ადგილობრივ ხელისუფლებას სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა ცენტრალურ ხელისუფლებასთან გარიგებაში შესვლა, რის საფასურიც მათი პოლიტიკური ერთგულებაა. ამგვარმა ურთიერთმომგებიანმა გარიგებამ საფუძველი ჩაუყარა სისტემას, რომელშიც თბილისი საგანგებოდ არჩევს რეგიონულ გავლენიან პირებს — ადამიანებს, რომლებსაც გააჩნიათ საკმარისი ქონება ან ტრადიციული კავშირები, რათა უზრუნველყონ ცენტრის მიმართ მორჩილება. საქართველოს უსაფრთხოების სამსახურები და სხვა ძალოვანი სტრუქტურები მოქმედებენ როგორც დედაქალაქის თვალები და ყურები, რომლებიც პერიფერიაში ცენტრის ნების აღსრულებას უზრუნველყოფენ.[7]

1. პოლიტიკური სტაგნაციის საფუძვლები

ჯავახეთი ყოველთვის ასეთი მორჩილი და ერთგული არ ყოფილა. რეგიონში საზოგადოებრივის ატავიზმის აზვირთება, როგორც წესი, თბილისში მიმდინარე ფართომასშტაბიან პოლიტიკურ მღელვარებას უკავშირდებოდა. 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ქვეყნის სათავეში ახალი, ნაციონალისტურად განწყობილი ხელისუფლება მოვიდა, ჯავახეთის რეგიონის აქტივისტებმაც დაიწყეს საკუთარი, ნაციონალისტური ლოზუნგების გაჟღერება. ზოგი უფრო ფართო ავტონომიას ითხოვდა, სხვები უფრო შორს წავიდნენ და სომხეთთან შეერთების მოწოდებებით გამოდიოდნენ.[8] დროთა განმავლობაში, აქტივიზმის ეს ტალღები მინელდა, დიდწილად, ერევნის მცდელობების შედეგად, რომელსაც არ სურდა კონფლიქტის კიდევ ერთი კერის წარმოქმნა მისი საზღვრების სიახლოვეს. იმ დროისთვის ერევანი უკვე გაცხარებულ ომში იყო ჩაბმული აზერბაიჯანთან მთიანი ყარაბაღის გამო და მის ინტერესებში სულაც არ შედიოდა დაპირისპირება კიდევ ერთ მეზობელთან.

პოლიტიკური დაძაბულობის მორიგმა ტალღამ რეგიონს 2000-იანი წლების დასაწყისში გადაუარა, როდესაც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნის პერიფერიებზე კონტროლის გამკაცრება განიზრახა. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი რეფორმები უკვე ხორციელდებოდა ქვეყნის სხვა რეგიონებში, ხელისუფლებას მიერ სახელმწიფო ინსტიტუტების კონსოლიდაციისა და კორუფციის აღმოფხვრის მცდელობას ეჭვით შეხვდნენ ჯავახეთში. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეს იყო გარე ძალაუფლების მიერ კონტროლის დამყარების და შესაძლოა, მათი დისკრიმინაციის მცდელობა.

დაძაბულობა კიდევ უფრო გაღრმავდა 1999 წელს, როდესაც სტამბულში გამართულ ეუთოს სამიტზე საქართველომ და რუსეთმა მიაღწიეს შეთანხმებას ახალქალაქის სამხედრო ბაზის დახურვის შესახებ 2007 წლამდე. ადგილობრივებისთვის ეს გადაწყვეტილება მძიმე დანაკარგს მოასწავებდა. ბაზა ქმნიდა ასობით სამუშაო ადგილს და ადგილობრივი ეკონომიკისთვის კაპიტალის ცირკულირების წყაროს წარმოადგენდა.[9] შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა — ათასობით ადამიანმა ქუჩას მიაშურა. პროტესტის რამდენიმე ლიდერი შემდგომ პერიოდში პოლიტიკურ ესტაბლიშმენტს შეუერთდა, სხვებმა ან რეგიონი დატოვეს ან ხელი აიღეს აქტივიზმზე, დაპატიმრების, მუქარის და თავისუფლების აღკვეთის რამდენიმე შემთხვევის შემდეგ.

7 ელის ბაქრაძე, სოფო როსტიაშვილი, ანი ისაკაძე, ქეთი ჩუთლაშვილი, „ეთნიკური უმცირესობები უსაფრთხოების მზერის ქვეშ: კონტროლის პრაქტიკები ჯავახეთსა და დმანისში“, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2025.

8 საერთაშორისო კრიზისების ჯგუფი, „საქართველოს სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობები“, ევროპის ანგარიში N178, 22 ნოემბერი 2006, გვერდი 16.

9 კორნელი კაკაჩია, „საქართველოში რუსული სამხედრო ბაზების დასასრული: ბაზების დახურვის სოციალური, პოლიტიკური და უსაფრთხოების ზეგავლენები“, ცენტრალური აზია და კავკასია, 2(50), 2008.



წყარო: საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

მას შემდეგ, პოლიტიკური ცხოვრება ჯავახეთში უცნაურად პროგნოზირებადი რიტმით მიედინება. თუ რამე ხდება, ადგილობრივ დონეს არ სცილდება და იშვიათად იპყრობს დედაქალაქის ყურადღებას. ქართულმა ოპოზიციურმა პარტიებმა, დიდწილად, „ჩამოწერეს“ რეგიონი.[10] ჯავახეთი განიხილება მმართველ პარტიაზე უკიდურესად დამოკიდებულ რეგიონად და შესაბამისად, ნიადაგი, დიდი ალბათობით, არ გამოდგება ლოიალური პოლიტიკური ქსელების გასავითარებლად. არჩევნებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ წინაასაარჩევნო კამპანია რეგიონში ძალზე ძვირია ოპოზიციისთვის, რომელიც უფრო ხელმისაწვდომ ადგილებზე მუშაობას ამჯობინებს.[11]

სტატისტიკა მრავლისმეტყველია: 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა ჯავახეთში რეგისტრირებულმა 57.000 ამომრჩეველმა მიიღო.[12] ხმების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მმართველმა პარტიამ – „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა, თუმცა ოპოზიციამ ეს დანაკარგი საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ამომრჩევლის ხმებით დააბალანსა.[13] „ვინც ხელისუფლებაშია, მას აქვს ტოტალური კონტროლი აქაურობაზე“, – გვიხსნის ერთ-ერთი საერთაშორისო დამკვირვებელი. „შედეგების გაყალბებაც კი არ სჭირდებათ, ყველაფერი ბუნებრივად ხდება“.

წლების განმავლობაში, ერთადერთ გამონაკლისს ამ სურათში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ დაარსებული ერთიანი ნაციონალური მოძრაობა წარმოადგენდა. ხელისუფლების დათმობის შემდეგაც კი, პარტიამ შეძლო შეენარჩუნებინა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჯავახეთში. ბევრი ამომრჩეველი მას ემადლიერება ყოველდღიური ცხოვრების ხელშესახები გაუმჯობესების გამო: დაიგო გზები, აღდგა წესრიგი, აშენდა ახალი სკოლები. თუმცა, კეთილგანწყობა 2020 წელს დასრულდა, როდესაც სააკაშვილმა ღიად დაუჭირა მხარი

10 სალომე კანდელაკი, „საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია: პოლიტიკური მონაწილეობის ბარიერები“, პოლიტიკის დოკუმენტი 16, აგვისტო 2020.

11 *„ოპოზიციის პასიურობა რეგიონში: მიზეზები, პერსპექტივები და მომავალ არჩევნებში მონაწილეობა“, Jnews.ge, ხელმისაწვდომია რუსულ ენაზე, 31 მარტი 2025.*

12 ამომრჩევლების შესახებ 2024 წლის მონაცემების გასაცნობად, ეწვიეთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ გვერდს

13 ამ ტენდენციების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გაეცანით ფაგან აბასოვის სტატიას „ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობა და მათი ელექტორალური ქცევა,“ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 13 სექტემბერი 2024.

აზერბაიჯანს მთიანი ყარაბაღის მეორე ომის დროს. გეოგრაფიული სიშორის მიუხედავად, ომმა მძიმე კვალი დატოვა რეგიონზე: მან 5.000-მდე სომეხი იმსხვერპლა, მათ შორის ბევრი მათგანი წარმოშობით ჯავახეთიდან იყო. იმ წელს გამართულ არჩევნებზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ მიღებული ხმები ახლოსაც ვერ მოვიდა წინა არჩევნების შედეგებთან. პარტიის ადგილობრივმა ლიდერებმა ვეღარ შეძლეს რეპუტაციული ზიანისგან რეაბილიტირება.

2. ადგილობრივი რეალობა სამოქალაქო საზოგადოების მხარდასაჭერად

გასული ათი წლის განმავლობაში, მათთვის, ვინც ცდილობს ხელი შეუწყოს ჯავახეთში სათემო დონეზე ცხოვრების გაუმჯობესებას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საჯარო სექტორში დასაქმების ერთადერთ რეალურ ალტერნატივად არის ქცეული. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის დღის წესრიგის კვალდაკვალ, ევროპული კავშირის, მისი წევრი სახელმწიფოების და საქართველოს დასავლელი პარტნიორების მიერ დაფინანსებული ინიციატივების წყალობით რეგიონის სამოქალაქო სექტორი სტაბილურად ფართოვდებოდა. ამ პროგრამების ფარგლებში, სხვადასხვა მიმართულებით, გადამზადდნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, ხორციელდებოდა სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროექტები – ბუნებრივი პრიორიტეტი რეგიონისთვის, სადაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. გარდა ამისა, ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდების ჩართულობას, ახალგაზრდა აქტივისტებისა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული ადამიანების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ადგილობრივი ხელისუფლება, როგორც წესი, თანამშრომლობაზე მოდიოდა, თუ, რასაკვირველია, სამოქალაქო საზოგადოება არ ეწინააღმდეგებოდა მათ მიერ აღქმულ ეროვნულ და მიმდინარე პოლიტიკურ ინტერესებს. მუნიციპალური ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აგვიხსნა, – „თუ პოლიტიკისგან თავს შორის დაიჭერ, ისინი ყოველთვის თანახმა იქნებიან თანამშრომლობაზე“. რეგიონში ამ მოსაზრებას, როგორც ჩანს, ბევრი იზიარებს.

საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებამ, გადაეხვია ევროპული ინტეგრაციისკენ მიმავალი კურსიდან, მკვეთრად შესუსტების, ან სულაც განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. რეგიონში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების უმეტესობა დარეგისტრირდა 2024 წელს მიღებული „უცხოური აგენტების“ შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კვლავაც აპირებენ დაემორჩილონ 2025 წელს შემოღებულ კიდევ უფრო მკაცრ მოთხოვნებს.[14] რამდენიმე ორგანიზაცია უკვე დაიხურა. სხვები, მართალია, ამჟამად აგრძელებენ საქმიანობას, მაგრამ შიშობენ, რომ მათაც მალე მოუწევთ საქმიანობის შეჩერება. სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლას თავი რომ დავანებოთ, მწვავედ დგას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაფინანსების პრობლემაც.

მიუხედავად არსებული სირთულეებისა, ჯავახეთში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კავშირები კვლავ არსებობს – მყიფე, მაგრამ ჯერ კიდევ მოქმედი. ისტორიულად, ურთიერთობის ყველაზე ეფექტიან მოდელად საერთო ინტერესების გარშემო პრაგმატული თანამშრომლობა ჩამოყალიბდა. მაგალითად, რამდენიმე

14 „რამდენი ორგანიზაცია დარეგისტრირდა უცხოური აგენტების რეესტრში“, *Jnews.ge, ხელმისაწვდომია რუსულ ენაზე, 10 დეკემბერი 2024.*

არასამთავრობო ორგანიზაციამ წარმატებით მოახერხა ახალი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტების დანერგვის ადვოკატირება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან პირდაპირი მოლაპარაკებების გზით. მაშინ, როდესაც თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში ხელისუფლებასთან კომუნიკაცია ჩიხში შევიდა, ჯავახეთში გარკვეული პრაქტიკული კავშირები კვლავ შენარჩუნებულია. „ჩვენ ძალიან ცოტანი ვართ და ერთმანეთსაც ძალიან კარგად ვიცნობთ," — განმარტა ერთ-ერთმა ადგილობრივმა აქტივისტმა. „თუნდაც ხელისუფლებაში იყო, აქვე გეზრდება შვილები. მაინც ზრუნავ იმაზე, რომ მათ უკეთესი ცხოვრება ჰქონდეთ."

ამასობაში, საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში განათლებამიღებული და სახელმწიფო ენაზე გამართულად მოსაუბრე აქტივისტების ახალი თაობა რეგიონში სამოქალაქო გარემოს გადახალისებას იწყებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთში საჯარო პროტესტი იშვიათად ხდება, მრავალი ახალგაზრდა მონაწილეობს დედაქალაქში მიმდინარე დემონსტრაციებში, ღიად აზიარებს საკუთარ შეხედულებებს სოციალურ ქსელებში და ჟურნალისტებთან საუბარსაც არ ერიდება. „ეს თაობა აღარ დაკმაყოფილდება ახალი ასფალტის გზით ან გამართულად მომუშავე წყლის მილით," — აღნიშნა ერთ-ერთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა: „მათ უკვე იგემეს თავისუფლება."

II.
სათემო ინიციატივები

სამოქალაქო აქტივობის თუნდაც მინიმალური დოზით შენარჩუნებისთვის ისეთ რთულ რეგიონში, როგორიც ჯავახეთია, ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს ადგილობრივი, თემიდან აღმოცენებული ინიციატივები. ეს მიდგომა სულ უფრო აქტუალური ხდება ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილ სახელმწიფოებში, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ფორმალური მუშაობა მკაცრ შეზღუდვებსაა დაქვემდებარებული. რუსეთში ეს მიდგომა „მცირე სიკეთეების თეორიის“ სახელწოდებითაა ცნობილი. იდეას საფუძვლად უდევს სიკეთის კეთების, სარგებლობის მოტანის სურვილი მიუხედავად პოლიტიკური და სოციალური შეზღუდვებისა.[15] მისი წყალობით, რუსეთში, დაახლოებით 15 წლის წინ, საფუძველი ჩაეყარა მოხალისეობის ახალ ტალღას. ეს გამოცდილება მსოფლიოს სხვა ადგილებშიც გვხვდება და აკადემიური კვლევის საგნადაც გადაიქცა მათთვის, ვინც განსაკუთრებით დაინტერესებულია წინააღმდეგობის კოლექტიური, ხშირად აპოლიტიკური, შედეგსა და თემის ინტერესებზე ორიენტირებული ასპექტებით.[16]

ჯავახეთში თემიდან აღმოცენებულ ინიციატივებს იშვიათად ჰყავს მოწინააღმდეგე ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლებიდან სწორედ იმიტომ, რომ მათ არ აქვთ გამოხატული პოლიტიკური ელფერი. ეს ინიციატივები მიზნად ისეთი საკითხების მოგვარებას ისახავს ხოლმე, როგორიცაა განათლების, ყოველდღიური ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ან საზოგადოებისთვის საინტერესო და საჭირბოროტო თემების ირგვლივ ცოდნისა და უნარების გაზიარება. ჯერჯერობით, ამგვარი საქმიანობის აქტივიზმად ან პოლიტიკური სტატუს კვოს ძირის გამოთხრის მცდელობად შერაცხვის რაიმე სერიოზულ მცდელობას ადგილი არ ჰქონია.

ეს ინიციატივები მიზნად ისეთი საკითხების მოგვარებას ისახავს ხოლმე, როგორიცაა განათლების, ყოველდღიური ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ან საზოგადოებისთვის საინტერესო და საჭირბოროტო თემების ირგვლივ ცოდნისა და უნარების გაზიარება.

ამ ეტაპზე, ახალ სათემოს ინიციატივებს გადარჩენისა და განვითარების ყველაზე მაღალი შანსი ჯავახეთში აქვთ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სულაც არ ფიქრობს, რომ ისინი გარედანაა თავსმოხვეული. პირიქით — მათი ინიციატორები, სულისჩამდგმელები და განმახორციელებლები ან ადგილობრივები არიან ან რეგიონის ყოფილი მკვიდრები, რომლებსაც სურთ, რომ საკუთარი თემის ცხოვრების გაუმჯობესებაში საკუთარი წვლილი შეიტანონ.

ინიციატივების მხარდაჭერას ყოველთვის მონეტარული ფორმა როდი აქვს. მათი უმეტესობა მოხალისეობრივად და ინდივიდუალური ფინანსური ძალისხმევით ხორციელდება. ამ მხრივ, გარე დახმარებას შეეძლო ხელი შეეწყო ინიციატივებში ჩართული პირების დაკავშირებისთვის საქართველოს ფართო სამოქალაქო ან საერთაშორისო ქსელებთან, რაც, თავის მხრივ, წაახალისებდა გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივ სწავლას და განამტკიცებდა სოლიდარობას.

მხარდაჭერა იქნებოდა ასევე ამგვარი მცდელობების აღიარება და დაფასება. ადგილობრივი ინიციატივები, რაც არ უნდა მოკრძალებულად გამოიყურებოდეს, გადამწყვეტ როლს ასრულებს

15 ნიკულინი, ა.მ., და ნიკულინა ე.ს., „მცირე სიკეთეების თეორია“ - საშუალო კლასის პოპულისტური პრაქტიკა, *RUDN Journal of Sociology* 24, 3(2024), გვ. 848-855.

16 ტედ რობერთ გური, „რატომ ჯანყდებიან ადამიანები“, პრინსტონის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1970.

თემის გააქტიურებაში და შესაბამისად, ხელს უწყობს სოციალური თავისუფლების შენარჩუნებას ამ ყოველმხრივ ჩაკეტილ რეგიონში.

ქვემოთ აღწერილია რამდენიმე წარმატებული ინიციატივა – სხვადასხვა მასშტაბის, პრიორიტეტის და ზეგავლენის, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ სად გადის შესაძლებლობის ქვედა ზღვარი და განვსაზღვროთ, თუ რა მიმართულებით და მექანიზმით შეგვიძლია დავეხმაროთ რეგიონს, რომელიც ხანდახან რუკიდანაც კი ქრება ხოლმე.

ხორციელდება. ამ მხრივ, გარე დახმარებას შეეძლო ხელი შეეწყო ინიციატივებში ჩართული პირების დაკავშირებისთვის საქართველოს ფართო სამოქალაქო ან საერთაშორისო ქსელებთან, რაც, თავის მხრივ, წაახალისებდა გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივ სწავლას და განამტკიცებდა სოლიდარობას.

1. გულნარა და ქალთა ჯანმრთელობა

გულნარამ მხოლოდ მაშინ აღმოაჩინა თავისი ნამდვილი მოწოდება – ქალთა უფლებების დაცვა საკუთარ რეგიონში, როდესაც 50 წელს გადასცდა. დაახლოებით ხუთი წლის წინ, კარტიკამს, მის სოფელს, რამდენიმე ქალი ესტუმრა. ხმა დაირხა, რომ ეს უცნაური ქალები დაბრუნებას აპირებდნენ. გულნარამ თავის ნათესავს მომდევნო შეხვედრის დროის და ადგილის დაზუსტება სთხოვა. ერთ წელიწადში იგი თავად გახდა ქალთა მობილური ჯგუფის განუყოფელი წევრი. ჯგუფი ახლა რეგიონის ყველა სოფელში მართავს შეხვედრებს.

ტანმორჩილი, კოხტა ვარცხნილობით და გაუხუნარი ღიმილით, გულნარა წამში იგებს ადამიანების გულებს. მისი ისტორია ჯავახეთში მცხოვრები უამრავი ქალის ისტორიას ჰგავს: სკოლა დაამთავრა თუ არა, გათხოვდა. შვილები მარტომ გაზარდა – მისი ქმარი ძირითადად საზღვარგარეთ იყო სეზონურ სამუშაოებზე. „ყოველთვის ვეძებდი ჭეშმარიტ მიზანს“, – გვითხრა გულნარამ, – და ვიპოვე. ვცხოვრობ იმისთვის, რომ სხვა ქალებმა არ გაიზიარონ ჩემი ბედი“.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, გულნარა აქტიურად საქმიანობს ქალების მზარდ რეგიონულ ქსელში, რომლის წევრები რეგულარულად იკრიბებიან მცირე, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური პროექტების განსახორციელებლად. მათ, ძირითად მოხალისეობრივ საქმიანობას ხანდახან ხელშესახები შედეგები მოსდევს თემებში ცხოვრების გაუმჯობესების მხრივ. ხანდახან მცირე თანხის შეგროვებასაც ახერხებენ ყოველკვირეული შეკრებებისთვის. ისინი ცეკვავენ, ისვენებენ და ღიად საუბრობენ პირად პრობლემებზე. წარსულში განხორციელებული რამდენიმე პროექტისთვის უცხო ქვეყნის საელჩოების მხარდაჭერის მობილიზებაც შეძლეს. ამ პროექტების წყალობით მახლობელ სოფლებში მცხოვრებმა რამდენიმე ქალმა საკუთარი მცირე ბიზნესი წამოიწყო. მათი უმეტესობისთვის ეს პირველი შემოსავლიანი საქმიანობა გახლდათ.

თუმცა, გულნარასთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ახლომახლო სოფლებში რეგულარული ვიზიტებია. ამ დროს ქალები უსაფრთხო გარემოში იკრიბებიან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე საუბრობენ, რომელიც მათ კონსერვატულ საზოგადოებაში ტაბუირებული თემაა. „ვუხსნით, მაგალითად, როგორ უნდა სთხოვონ ქმრებს ჩაიტარონ გამოკვლევები უსაფრთხო სექსისთვის, როდესაც ისინი თვეების შემდეგ, სეზონური სამუშაოდან ბრუნდებიან“, – ამბობს

მათი ინიციატივების გავლენის გასამყარებლად, გულნარა ფიქრობს, რომ საჭიროა რეგიონს რეგულარულად სტუმრობდნენ სხვადასხვა დარგის – ჯანდაცვის, განათლების, ბიზნესის, წარმომადგენლები.

გულნარა. რეგიონში შეინიშნება აივ-ისა და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შემთხვევების ზრდა, თუმცა, ამ თემებზე, ძალზე იშვიათად ან თითქმის არასდროს საუბრობენ. „ჩვენს კულტურაში დედები და ქალიშვილებიც კი არ ლაპარაკობენ ამ საკითხების ირგვლივ. ეს უნდა შეიცვალოს.“

როდესაც გულნარამ შეიტყო, რომ საქართველოს ახლად მიღებული კანონმდებლობა მიზნად ისახავდა მომავალ პროექტებზე შეზღუდვების დაწესებას, სტრესისგან გულის შეტევა განუვითარდა და თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში ერთი კვირა გაატარა სამედიცინო ზედამხედველობის ქვეშ. ამ შემთხვევამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მის თანააქტივისტებზე, რომ მათ პირობა დადეს, ნებისმიერ შემთხვევაში გაეგრძელებინათ საქმიანობა. ამ ზაფხულს მათ კიდევ ერთ ინიციატივას ჩაუყარეს საფუძველი, რომლის ფარგლებში პლასტმასის ბოთლებს აგროვებენ გადასამუშავებლად, ხოლო მიღებულ შემოსავალს დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის საკვებისა და სხვა გადაუდებელი საჭიროების ნივთების შეძენას ახმარენ. გულნარას სოფელში ასევე გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კურსი, რომელსაც ახლა ყველა ასაკის ქალი ესწრება, მათ შორის გულნარაც.

გულნარას აზრით, ამ მუხტის შესანარჩუნებლად, საჭიროა მათი საქმიანობის მხარდაჭერა, თუნდაც მათი აქტივობები მოხალისეობრივად გაგრძელდეს. მათი ინიციატივების გავლენის გასამყარებლად, გულნარა ფიქრობს, რომ საჭიროა რეგიონს რეგულარულად სტუმრობდნენ სხვადასხვა დარგის – ჯანდაცვის, განათლების, ბიზნესის, წარმომადგენლები. „ჩვენ გვჭირდება სამუშაო და გაცვლითი შეხვედრები“, – ამბობს ის. „სახლში ჯდომას არ ვაპირებთ, მაგრამ ამისთვის საჭიროა ქსელს ახალი წევრები – ქალები და გოგონები შემოემატონ. მათ მალე დასჭირდებათ ეს ცოდნა“.

2. ლიდა და სამკითხველო კლუბი

ჯავახეთის კიდევ ერთ კუთხეში, ადგილობრივმა მოსახლეობამ ქალების უფლებებზე, ასევე თავისუფლებისა და სამართლიანობაზე სასაუბროდ საინტერესო გზას მიაგნო. რამდენიმე თვის წინ სოფელ ორჯაში ფუნქციონირება დაიწყო სამკითხველო კლუბმა, რომლის წევრების რიგებში არიან ადგილობრივი სკოლის უფროსკლასელები და რამდენიმე კურსდამთავრებული. სკოლა ერთადერთია, რომელიც მიმდებარე სოფლებს ემსახურება. სოფლის გარეთ მოპოვებული მხარდაჭერით, აქტივისტებმა შეძლეს საკმარისი თანხის შეგროვება სომხურ და ქართულენოვანი წიგნე-

კლუბის კიდევ ერთი პრიორიტეტი გეოგრაფიული არეალის გაფართოება და სხვა სოფლების დაფარვაცაა, მათ შორის – იდეალურ შემთხვევაში, რეგიონის საზღვრებს მიღმაც, რაც ითხოვს მოწვეულ სტუმრებთან დაკავშირებას, რათა მათ დისკუსიაში მონაწილეობა და ახალი პერსპექტივის შეთავაზება შეძლონ მონაწილეებისთვის.

ბისთვის, რომლებიც ერევანსა და თბილისში შეიძინეს. გარდა ამისა, შექმნეს WhatsApp-ის ჯგუფი და ახლა რეგულარულად იკრიბებიან წიგნებით შთაგონებული იდეების შესახებ საუბროდ.

კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი ლიდა ალმასიანია, რომელიც დროს თბილისსა და მშობლიურ სოფელს შორის ანაწილებს. მეგობრებთან ერთად იგი გულდასმით არჩევს წიგნებს, რომლებიც ისეთ თემებს ეხება როგორიცაა, სიცოცხლის აზრი, პირადი თავისუფლება და სხვა ფილოსოფიური საკითხები. „ყოველთვის ვოცნებობდი, რომ ჩვენი სოფლის ბავშვები ჩვენგან განსხვავებულად გაზრდილიყვნენ“, — ამბობს ლიდა, — და რომ ჰქონოდათ სიკეთის და სიყვარულის უნარი იმ აგრესიის ნაცვლად, რომლის მომსწრეც ბავშვობაში ხშირად ვყოფილვარ“.

გარე მხარდაჭერის გარეშე კი ეს გეგმა სისრულეში ძნელად თუ მოვა. ყველაზე მოკრძალებულ დახმარებასაც კი თბილისსა თუ სამხრეთი კავკასიის სხვა ადგილას მყოფი მხარდამჭერებისგან — შეიძლება ეს თუნდაც ფასილიტაციის გზამკვლევის მიშველება იყოს, შეუძლია მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს სამკითხველო კლუბისა და მისი წევრებისთვის.

ზოგჯერ განხილვას სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრებიც ესწრებიან. შეხვედრების თემა, როგორც წესი, სცილდება ხოლმე შერჩეულ წიგნს. მონაწილეები მსჯელობენ ეროვნულ და გლობალურ დონეებზე განვითარებული მოვლენების ირგვლივ, ავლებენ პარალელს იდეებსა და რეალობას შორის. ლიდას თქმით, კლუბის მიზანი კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობაა, რასაც სკოლები ვერ ახერხებენ. – „გვინდა, ხედავდნენ სხვადასხვა მოვლენას შორის კავშირს“, — ამბობს ლიდა.

სოფელში ბიბლიოთეკაც არსებობს, მაგრამ ცოტამ თუ იცის, როდის იღება ან იკეტება ან რა წიგნებია ხელმისაწვდომი. ზამთრობით კლუბი საქმიანობას ციფრულ ფორმატში აგრძელებს, რადგან სოფელში არ არსებობს სივრცე, რომლის დაქირავებასაც შეძლებდნენ შეხვედრების გასამართავად. როცა თბილა, გარეთ იკრიბებიან — სოფლის მახლობლად, ფანჩატურში, ადგილობრივი მოსახლეობის საპიკნიკე ადგილას.

რადგანაც კლუბი მოხალისეობრივად ფუნქციონირებს, მის წევრებს ნაკლებად აწუხებთ საქართველოს ახალი კანონმდებლობის შესაძლო ზეგავლენა. სამაგიეროდ, მათი ზრუნვის საგანს წიგნების მცირე კოლექციის განახლება წარმოადგენს. ახლახან გადაწყვიტეს, რომ მცირე საწევრო გადასახადი შემოეღოთ — დაახლოებით ერთი დოლარი ერთ წიგნზე. ამ მიდგომამ შეიძლება შეამციროს ფინანსური წნეხი, თუმცა თანხის შეგროვებას, სავარაუდოდ, დრო დასჭირდება.

კლუბის კიდევ ერთი პრიორიტეტი გეოგრაფიული არეალის გაფართოება და სხვა სოფლების დაფარვაცაა, მათ შორის — იდეალურ შემთხვევაში, რეგიონის საზღვრებს მიღმაც, რაც ითხოვს მოწვეულ სტუმრებთან დაკავშირებას, რათა მათ დისკუსიაში მონაწილეობა და ახალი პერსპექტივის შეთავაზება შეძლონ მონაწილეებისთვის. გარე მხარდაჭერის გარეშე კი ეს გეგმა სისრულეში ძნელად თუ მოვა. ყველაზე მოკრძალებულ დახმარებასაც კი თბილისსა თუ სამხრეთი კავკასიის სხვა ადგილას მყოფი მხარდამჭერებისგან — შეიძლება ეს თუნდაც ფასილიტაციის გზამკვლევის მიშველება იყოს, შეუძლია მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს სამკითხველო კლუბისა და მისი წევრებისთვის.

3. ენოქი და ფერმერები

ენოქის აზრით, სოფლის მეურნეობაში ინოვაციების დანერგვის წინაშე მდგარი ბარიერებიდან ბევრი ინსტიტუციურია. ენოქი მიიჩნევს, რომ მისი ფეისბუქის ჯგუფი უფრო ხელშესახების შედეგის მომტანია, როდესაც საქმე ცვლილებებს ეხება. ჯგუფის მეშვეობით მან ახალი კავშირები გააბა, რაც, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს კომპლექსურ პრობლემებს შემოქმედებითად მიუდგეს.

ჯავახეთში ზოგიერთი ადგილობრივი ცდილობს სოციალური მედია ადგილობრივი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის გამოიყენოს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ამ საქმეში ენოქ ბაბაჯანიანია, რომელიც რეგიონის ყველაზე პოპულარულ ფეისბუქ ჯგუფს — „მეკარტოფილეობა ახალქალაქში“, მართავს. ჯგუფს 5,500-ზე მეტი წევრი ჰყავს. ენოქი აზიარებს რჩევებს გარკვეული კულტურების მოყვანის შესახებ, პოპულარიზაციას უწევს სასათბურე მეურნეობას და რეკომენდაციას უწევს გასაყიდ პროდუქციას. ჯგუფში ასევე ქვეყნდება ინფორმაცია გასაყიდი მეორადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ. ამ ციფრული თემის წყალობით, ენოქი, სოფლის მეურნეობის საქმეში, რეგიონის ყველაზე გამოჩენილი ინოვატორი გახდა.

ენოქის არჩევანი, გამხდარიყო ფერმერი, აუცილებლობამ განაპირობა და არა ამბიციამ. რამდენიმე წლის წინ მან სამსახური დაკარგა და გადაწყვიტა დიდი ხნის ოცნება აეხდინა – სათბური გაეშენებინა, რაც საკმაოდ სარისკო საქმე გახლდათ ცივ, მაღალმთიან რეგიონში. წლების წინ ენოქმა დიპლომი სწორედ ამ თემაზე დაიცვა. მან გამოიანგარიშა მიახლოებული საწყისი კაპიტალი და საკუთარი ხელით დაიწყო პირველი სათბურის მშენებლობა. იმ პერიოდში ის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის წარმომადგენლებს შეხვდა, რომლებმაც ურჩიეს, მონაწილეობა მიეღო ინდივიდუალური ფერმერებისთვის განკუთვნილ საგრანტო კონკურსში. ენოქმა არა მხოლოდ საკუთარი პროექტისთვის მოიპოვა მხარდაჭერა, არამედ რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების კომისიაშიც მიიწვიეს. ამის შემდეგ მან კიდევ არაერთ შეხვედრასა და კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ და თანამოაზრე ფერმერების ქსელიც კი ჩამოაყალიბა.

დღეს ენოქი საკმაოდ მასშტაბურ საქმიანობას უძღვება. მისი სახლის გვერდით, სოფელ მურჯახეთში, ორი დიდი სათბურია, სადაც მას პომიდორი, კიტრი, მწვანილი და სხვა ბოსტნეული მოჰყავს – პროდუქცია, რომელიც რეგიონში ჩვეულებრივ ვერ ასწრებს დამწიფებას სასათბურე პირობებშიც კი. ნიადაგისგან სასიცოცხლო ძალის „გამოსატყუებლად“ ენოქმა მზის პანელები დაამონტაჟა, რათა მიწა და ჰაერი გაეთბო. მან ასევე შექმნა ნერგების მიწოდების ჯაჭვი საქართველოს სხვა რეგიონებიდან, სადაც ზაფხული ჯავახეთზე ადრე დგება. მიუხედავად მაღალი საწყისი ხარჯებისა, მისი წამოწყება მომგებიანი გახდა. „ჩემი პროდუქცია უფრო სწრაფად იყიდება, ვიდრე ჯგუფში გამოქვეყნებას ვასწრებ,“ – ამბობს ის. მისი ხრაშუნა კიტრები და ტკბილი პომიდვრები დიდ მოთხოვნაშია, როგორც ინდივიდუალურ მომხმარებლებს, ისე ადგილობრივი მაღაზიებს შორის. „ყველას მაინც არ ჰყოფნის,“ – ამბობს ენოქი.

ენოქის წარმატება სწრაფად მოექცა ყურადღების ცენტრში. ბოლო ორ წელიწადში მის ფერმას უწყვეტად სტუმრობენ ადამიანები – ზოგიერთი მათგანი შემდეგ თავადაც შეუდგა სათბურის აშენებას და ენოქი ახლა მათ რჩევებითაც ეხმარება „ყველაზე დიდი დაბრკოლება ფული კი არაა,“

— ამბობს ის. „ეს ახლის წამოწყების შიში.“ მისი გამოცდილებით, უმეტესობას, ვინც ფერმერობას იწყებს, არც უნარები და არც თავდაჯერება ჰყოფნის ისეთი საქმის წამოსაწყებად, რომელიც მყისიერ შედეგს ვერ მოიტანს. „ვცდილობ, ამ იდეით „დავაავადო,“ — ხუმრობს ის. „მაგრამ ყოველთვის როდი ვაღწევ მიზანს. მეტი წარმატებული მაგალითი გვჭირდება, რომ ბევრმა გაბედოს და თავადაც სცადოს.“

მისი აზრით, სოფლის მეურნეობაში ინოვაციების დანერგვის წინაშე მდგარი ბარიერებიდან ბევრი ინსტიტუციურია. ენოქი და სხვა ფერმერები შეხვედრებს მართავდნენ ადგილობრივ მოხელეებთან, სექტორის რეფორმირებისთვის, მაგრამ ამ მცდელობებს იშვიათად მოაქვს შედეგი. ადგილობრივი მოხელეები, როგორც წესი, პასუხისმგებლობას ზემდგომ ინსტანციებს გადააბარებენ ხოლმე — შორეულ კაბინეტებში, დახურული კარებს მიღმა მსხდომ უხილავ ადამიანებს. ენოქი მიიჩნევს, რომ მისი ფეისბუქის ჯგუფი უფრო ხელშესახების შედეგის მომტანია, როდესაც საქმე ცვლილებებს ეხება. ჯგუფის მეშვეობით მან ახალი კავშირები გააბა, რაც, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს კომპლექსურ პრობლემებს შემოქმედებითად მიუდგეს.

4. პარუირი და სოფლის პრობლემები

49 წლის პარუირ მადოიანი ცდილობს შეცვალოს ცხოვრება მშობლიურ სოფელ ფოკაში. დაახლოებით ხუთი წლის წინ, პარუირი სერიოზულ ავადმყოფობას გადაურჩა, თუმცა, მას შემდეგ, ჟანგბადის აპარატზეა დამოკიდებული და შესაბამისად, დროის უმეტეს ნაწილს შინ ატარებს. იმისთვის, რომ გარესამყაროსთან კონტაქტი შეენარჩუნებინა, პარუირმა ფეისბუქის გვერდი შექმნა, სადაც ის რეგულარულად აქვეყნებს ლექსებს, ფოტოებს და თანასოფლელების მოგონებებს. მათგან ბევრი ახლა ემიგრაციაშია, ზოგიც — გარდაცვლილი. დროა განმავლობაში მის გვერდზე სოფლის პრობლემების შესახებ ინფორმაცია და მათი გადაჭრის მოწოდებებიც გამოჩნდა. მის გვერდს სახელწოდებით „ფოკას შესახებ“ თითქმის 2.500 რეგულარული მკითხველი ჰყავს და ღირსეულ მეტოქეობას უწევს ადგილობრივ მედია ორგანიზაციების პოპულარობის მხრივ.

> პარუირი თავიდან ბოლომდე თვითნასწავლია. მას კომპიუტერიც კი არ აქვს. ყველა მისი პოსტი და კომენტარი მობილურ ტელეფონში იწერება. მიუხედავად იმისა, რომ გარეთ იშვიათად გადის, პარუირი სოფლის ცხოვრების ეპიცენტრში რჩება — მან ყველაფერი იცის, რაც ფოკაში ხდება.

ბლოგების წყალობით პარუირმა შეძლო რეალური ცვლილებებისთვის მიეღწია. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ, მისმა პოსტებმა, რომლებიც სოფლის მთავარ გზაზე ნარჩენების გორებს ეხებოდა, ადგილობრივი ხელისუფლება აიძულა დასუფთავების კამპანია მოეწყო. პარუირმა მოახერხა შეეგროვებინა თანხა ექვსი ოჯახისთვის, რომლის წევრებიც სომხეთში გადასვლის შემდეგ 2020 წლის მთიანი ყარაბაღის ომს ემსხვერპლნენ. ამჟამად, იგი ცდილობს მოაგვაროს მიუსაფარი ძაღლების პრობლემა: ძაღლები თავს ესხმიან და ანადგურებენ შინაურ ფრინველებსა და პირუტყვს, განსაკუთრებით სოფლის შემოგარენში.

პრუირი გამორჩეული ფიგურაა რეგიონში — აქტივისტი, რომელიც პრობლემებს ონლაინ-ისტორიების საშუალებით ებრძვის. ფოკა ჯავახეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია, თუმცა, ის

რეგიონის მთავარი ქალაქებიდან შორს მდებარეობს. ამიტომ, მოსახლეობა ხშირად სამყაროსგან მოწყვეტილად გრძნობს თავს. მიუხედავად ამისა, პარუირი ამბობს, რომ ცოტა ვინმე თუ ბედავს ხმამაღლა ლაპარაკს. როდესაც მან პირველად დაიწყო ფეისბუქზე პრობლემების შესახებ საჯაროდ საუბარი, საკუთარი ოჯახიც კი სთხოვდა შეეწყვიტა ეს წამოწყება: „საჯარო წუწუნით ოჯახს არცხვენო.“ მაგრამ პარუირი არ დანებდა და რეაქციებმაც არ დააყოვნა. როდესაც მისმა მცდელობამ შედეგი გამოიღო, არა მხოლოდ მისი ოჯახი, არამედ სკეპტიკურად განწყობილი მეზობლებიც მიხვდნენ, რომ სოციალურ მედიას რეალურად შეუძლია ცვლილებების მოხდენა.

პარუირი თავიდან ბოლომდე თვითნასწავლია. მას კომპიუტერიც კი არ აქვს. ყველა მისი პოსტი და კომენტარი მობილურ ტელეფონში იწერება. პარუირმა ისწავლა როგორ უნდა დაარედაქტიროს სურათები და დაამონტაჟოს ვიდეოჩანაწერები. მობილურ ტელეფონზევე წერს ის პოეზიას და მოკლე მოთხრობებს. მისი რამდენიმე ქმნილება ისეთი პოპულარული გახდა, რომ მათზე სიმღერებიც კი დაიწერა. ადგილობრივები ხშირად უგზავნიან მას ფოტოებს, ვიდეოებსა და მოსაზრებებს აქტუალური თემების ირგვლივ. მიუხედავად იმისა, რომ გარეთ იშვიათად გადის, პარუირი სოფლის ცხოვრების ეპიცენტრში რჩება — მან ყველაფერი იცის, რაც ფოკაში ხდება.

5. ეშტია და სოფლის ფონდი

ჯავახეთის ერთ-ერთ დიდ სოფელში ადგილობრივებმა გადაწყვიტეს, გარედან დახმარებას აღარ დალოდებოდნენ. მათ საკუთარი, შიდა ფონდი შექმნეს, რომ საკუთარი პრობლემებისთვის თავადვე მიეხედათ. COVID-19-ის პანდემიის დროს, სოფლის მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა შექმნა WhatsApp-ის ჯგუფი, სადაც მსურველები თანხას აგროვებდნენ, რათა პროდუქტები ეყიდათ მოხუცებისა და ხელმოკლე ოჯახებისთვის.[17] მაგრამ ჯგუფი კრიზისის შემდეგაც არ დაიშალა — პირიქით, მალე მასში ჩაერთნენ არა მხოლოდ სოფელში მცხოვრები ადამიანები, არამედ ემიგრანტებიც, რომლებიც ევროპასა და სხვა ქვეყნებში არიან გაფანტულნი. ერთჯერადი საქველმოქმედო წამოწყება მალევე გადაიქცა ყოველთვიურ რიტუალად: ახლა თითოეული მონაწილე რეგულარულად რიცხავს თანხას, რომელიც სოფლის სხვადასხვა საჭიროებაზე ხმარდება.

ეს სათემო ინიციატივები ხელს უწყობს სოციალური კავშირების განმტკიცებას. სოფლის მცხოვრებლები ერთად აგვარებენ პრობლემებს, რომელთა მოგვარებაც ინდივიდუალურ დონეზე შეუძლებელი თუ არა, აუცილებლად ძალზე რთულ იქნებოდა.

დღეს WhatsApp-ის ჯგუფი, სახელწოდებით „აკეთე სიკეთე“, 1,000-ზე მეტ აქტიურ წევრს აერთიანებს. შეგროვებული თანხით ფინანსდება ძვირადღირებული სამკურნალო პროცედურები, დაბალშემოსავლიანი ოჯახების სტუდენტების სწავლის ფული და სხვა. რამდენჯერმე ფონდმა ისეთი სოლიდური თანხის შეგროვებაც შეძლო, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას თანადაფინანსებისთვისაც მიმართეს. ეს თანხები მოხმარდა, მაგალითად, გზების შეკეთებას ან წყლის სის-

17 ანაიტ ზალალიანი, „გააკეთე კარგი ეშტიასთვის - საქველმოქმედო კამპანია“, Radio Nor, *ხელმისაწვდომია რუსულ ენაზე,* 19 თებერვალი 2018.

ტემის გამართვას. თანხის ერთი ნაწილი ბიუჯეტიდან დაიფარა, ნაწილი – თავად თემიდან. ამ ერთობლივი ძალებით სოფელმა სპორტული მოედანი და ღია სტადიონიც კი ააშენა ცენტრში. წელს ზაფხულში ჯგუფმა სოფლის დღესასწაული მოაწყო, სადაც არა მხოლოდ ადგილობრივები, არამედ მეზობელი სოფლების მკვიდრებიც მიიწვიეს.

ეს სათემო ინიციატივები ხელს უწყობს სოციალური კავშირების განმტკიცებას. სოფლის მცხოვრებლები ერთად აგვარებენ პრობლემებს, რომელთა მოგვარებაც ინდივიდუალურ დონეზე შეუძლებელი თუ არა, აუცილებლად ძალზე რთულ იქნებოდა. ეშტია უნიკალური სოფელია: მისი მცხოვრებლების უმეტესობა კათოლიკე სომხები არიან, რომლებიც საკუთარ, განსხვავებულ დიალექტზე საუბრობენ. გეოგრაფიულად და კულტურულად, ეშტია თითქოს მოწყვეტილია დანარჩენ რეგიონს, თუმცა მსგავსი ინიციატივები შეიძლება სამაგალითოდ იქცეს სხვა დასახლებებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, რომლებსაც მრავალრიცხოვანი დიასპორა ჰყავთ საზღვარგარეთ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რეგიონში მოსახლეობა მიგრაციის შედეგად თითქმის განახევრდა, თუმცა, მშობლიურ რეგიონისადმი კუთვნილების გრძნობა მიგრანტებში მაინც მძლავრია.

6. კუმურდო და სკოლა, რომელმაც ყველაფერი შეცვალა

ბოლო წლების ერთ-ერთ გამორჩეულ ქველმოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს სოფელ კუმურდოში განხორციელებული ინიციატივა, სადაც თანამედროვე სკოლამ მთლიანად შეცვალა როგორც სოფლის იერი, ისე მისი მომავალი. დიდი კომპლექსი, რომელიც 450 მოსწავლეზეა გათვლილი, მოიცავს რამდენიმე სპორტულ მოედანს, საცურაო აუზს და სრულად აღჭურვილ სააქტო დარბაზებს.[18] შენობის შიგნით განთავსებულია თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სივრცეები – საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები და თანამედროვე საკლასო ოთახები. ჯავახეთის ფარგლებს მიღმაც კი, საქართველოს პროვინციებში ძალიან ცოტაა მსგავსი მასშტაბისა და ხარისხის სკოლა.

> კუმურდოს სკოლა კი სრულიად სხვა შემთხვევაა: ეს არის სოფლად ტრანსფორმაციული ძალის მქონე ინვესტიციის იშვიათი მაგალითი, რომელსაც შეუძლია არა მხოლოდ თემის განათლების სისტემის, არამედ მთელი სოფლის განვითარების მიმართულების შეცვლა.

ამ პროექტის შემოქმედის სახელი არსად ჩანს – არც საინფორმაციო დაფაზე და არც რაიმე ნიშნულზე. მასზე არც რაიმე ოფიციალურ განცხადებაშია საუბარი. მაგრამ კუმურდოს ყველა მცხოვრებმა იცის, ვის დამსახურებაა ეს საქმე: ჰაიკ მგდესიანი – სოფლის მკვიდრი, რომელმაც ქონება რუსეთსა და მეზობელ ქვეყნებში მზესუმზირას თესლის საბითუმო ვაჭრობით დააგროვა. მისი წვლილის აღსანიშნავად, სოფლის მცხოვრებლებმა 2018 წელს სკოლის გახსნისას ლენტის გაჭრა მის ხანდაზმულ დედას მიანდვეს. იმ დღის ფოტოებსა და ვიდეოჩანაწერებში თავმდაბალი, თავსაფრიანი ქალი იღიმის და საქართველოს განათლების მინისტრთან ერთად დგას, რომელიც სპეციალურად ამ შემთხვევისთვის ჩა-

18 სკოლის სანახავად ეწვიეთ ბმულს: https://www.youtube.com/watch?v=MosdtHGQqEI

მოვიდა კუმურდოში.[19] მოგვიანებით, სოფლის მცხოვრებლებმა ქუჩას, სადაც სკოლა დგას, ჰაიკ მგდესიანის სახელი უწოდეს.

სკოლის გავლენა საგანმანათლებლო სფეროს მნიშვნელოვნად გაცდა. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ, სოფლის ბავშვებს გაკვეთილები ძველი სკოლის ნანგრევებში უტარდებოდათ, „შენობაში“, რომელიც არა მხოლოდ ჟამთა სვლას, არამედ ხანძარსაც დაეზიანებინა. ახლა უკვე სკოლის მახლობლად ახალი საბავშვო ბაღიც გაჩნდა. სოფელში ასევე გაიხსნა პოლიციის განყოფილება და იუსტიციის სამინისტროს სერვისცენტრი, დაიგო გზები. კუმურდო უკვე აღარაა შორეული და მივიწყებული ადგილი — იგი მზარდი პერსპექტივის მქონე სასოფლო ჰაბად იქცა.

ეს გარდატეხა განსაკუთრებით თვალში საცემია სოფლის უახლესი, ლოკალური კონფლიქტებით დატვირთული ისტორიის ფონზე. 2017 წელს კუმურდო ქვეყნის მასშტაბით ყურადღების ცენტრში მოექცა, როცა ადგილობრივებსა და მართლმადიდებელ სასულიერო პირებს შორის სასაფლაოზე დაკრძალვის უფლებებთან დაკავშირებული დავა მასობრივ დაპირისპირებასა და სპეციალური დანიშნულების რაზმთან შეტაკებაში გადაიზარდა. ამ ინციდენტის ამსახველ ვიდეოკადრებში ჩანდა, თუ როგორ იყენებდნენ სპეცრაზმის თანამშრომლები ცრემლსადენ გაზს სოფლის მოსახლეობის დასაშლელად, რომლებიც ამჟამად უმოქმედო, მე-10 საუკუნის ქართული მართლმადიდებლური ტაძრის ეზოში შეკრებილიყვნენ. ამ ადგილს ადგილობრივი თემი სალოცავად იყენებდა.[20] დაპირისპირებისას რამდენიმე პირმა სხეულის დაზიანება მიიღო. თუმცა, ინციდენტმა ბევრად უფრო ღრმა, როგორც პოლიტიკური, ასევე ემოციური კვალი დააჩნია ადგილობრივ მოსახლეობას. ამ ფონზე, ახალი, თანამედროვე სკოლა, რომლის აშენება არა სახელმწიფოს, არამედ სოფლის ერთ-ერთი შვილის დამსახურებაა, ადგილობრივი თემის მედეგობისა და ძალის მნიშვნელოვნად სიმბოლოდ იქცა.

სკოლის აშენებასა და აღჭურვაზე ჯამში 4 მილიონ დოლარზე მეტი დაიხარჯა. გარდა ამისა, მგდესიანმა იმ ახალგაზრდებისთვისაც დააწესა სტიპენდიები, რომლებსაც განათლების გაგრძელების სურვილი ექნებოდათ. ქველმოქმედება რეგიონისთვის უცხო არაა, თუმცა, როგორც წესი, იგი ძირითადად მოკრძალებული მასშტაბებისაა — მაგალითად, სახურავის შეკეთება, საკლასო ოთახისთვის საჭირო ნივთების შეძენა და სხვა. კუმურდოს სკოლა კი სრულიად სხვა შემთხვევაა: ეს არის სოფლად ტრანსფორმაციული ძალის მქონე ინვესტიციის იშვიათი მაგალითი, რომელსაც შეუძლია არა მხოლოდ თემის განათლების სისტემის, არამედ მთელი სოფლის განვითარების მიმართულების შეცვლა.

7. სომხური ფონდი და მეხსიერების მუზეუმი

ჯავახეთში ინვესტიციის კიდევ ერთი არხი დიასპორის და არა სახელმწიფოს მეშვეობით გაჩნდა. „ჯავახეთის მხარდამჭერი ფონდი“ დაახლოებით ათი წლის წინ დაფუძნდა სომხეთში, ხოლო მოგვიანებით საქართველოშიც, მეწარმეთა, სასულიერო პირებისა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფის მიერ, რომელთაც რეგიონთან პირადი ან ნათესაური კავშირები აქვთ.[21] დაარსების დღიდანვე ფონდი ადგილობრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და განათლების გაძლიერებაზე მუ-

19 „სოფელ კუმურდოში სომხურენოვანი სკოლა გაიხსნა“, 1TV, 17 იანვარი 2018.

20 „ახალქალაქში დაპირისპირების შედეგად პოლიციელები დაშავდნენ“, *Civil.ge*, 1 ოქტომბერი 2017.

21 ჯავახეთის მხარდაჭერის ფონდის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფონდის ოფიციალურ ვებგვერდს: official website.

შაობს. ამასთან, ინარჩუნებს როგორც სომხური, ისე ქართული ხელისუფლების მხარდაჭერას. სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის უცხოურ დაფინანსებაზე წვდომის უკიდურესად შეზღუდვის ფონზე, ამ მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

მნიშვნელოვანია ის, რომ მსგავსი ინიციატივები სომხური დიასპორის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, შეინარჩუნონ მჭიდრო კავშირი რეგიონთან, რომელიც ოდესღაც მათი ან მათი წინაპრების სამშობლო იყო. ორგანიზაციამ, რომლის სათავო ოფისი სომხეთში მდებარეობს, შეიძლება შეინარჩუნოს იმ ერთ-ერთი იშვიათი რეალური არხის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც რეგიონში დახმარება ქვეყნის გარედან შემოედინება.

ფონდის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ პროექტს წარმოადგენს ჯავახეთის ორი კულტურულად მნიშვნელოვანი ძეგლის სრული რეაბილიტაცია: ესენია 19-ე საუკუნის აშუღისა და პოეტის — ჯივანის, ასევე XX საუკუნის დასაწყისის სომხური ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის — ვაჰან ტერიანის მუზეუმები, რომლებიც თავად პოეტთა საგვარეულო სახლებშია განთავსებული მეზობელ სოფლებში. ფონდის ინვესტიციის წყალობით, ეს ადგილები ახლა თანამედროვე ექსპოზიციებსა და ექსკურსიებს მასპინძლობს, როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონის სტუმრებისთვისაც.

ფონდის საქმიანობა მხოლოდ ინფრასტრუქტურის გამართვით არ შემოიფარგლება. მისი წყალობით შეიქმნა და ფუნქციონირებს ორივე მუზეუმის თანამედროვე ვებგვერდები, რომლებიც დაინტერესებულ პირებს ვირტუალურ ტურებსა და სხვადასხვა ღონისძიებას სთავაზობს, რომლებსაც ხშირად ესწრებიან სომხეთისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებიც. ამ ძალისხმევის შედეგია კულტურული განახლება, რომელიც აძლიერებს რეგიონული სიამაყის გრძნობას და ყურადღებას ამახვილებს სასაზღვრო ზონის საერთო მემკვიდრეობაზე.

მნიშვნელოვანია ის, რომ მსგავსი ინიციატივები სომხური დიასპორის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, შეინარჩუნონ მჭიდრო კავშირი რეგიონთან, რომელიც ოდესღაც მათი ან მათი წინაპრების სამშობლო იყო. ამავდროულად, ფონდი არის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი პროექტების გამჭვირვალე მხარდაჭერას და მათ კოორდინაციას საქართველოს ხელისუფლებასთან. ორგანიზაციამ, რომლის სათავო ოფისი სომხეთში მდებარეობს, შეიძლება შეინარჩუნოს იმ ერთ-ერთი იშვიათი რეალური არხის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც რეგიონში დახმარება ქვეყნის გარედან შემოედინება.

დასკვნა

ჯავახეთი – ძირითადად ეთნიკური სომხებით დასახლებული საქართველოს მთიანი რეგიონი, კვლავ პოლიტიკურ და კულტურულ აუტსაიდერად რჩება. როგორც გეოგრაფიულად, ისე ფსიქოლოგიურად იზოლირებული რეგიონი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისგან შორს დგას. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორი ათწლეულია მიმდინარეობს სახელმწიფო ინტეგრაციის პროგრამები და მყარდება ინფრასტრუქტურული კავშირები სომხეთთან, თურქეთთან და საქართველოს სხვა რეგიონებთან, ჯავახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ საკუთარ თავშია ჩაკეტილი. ქართულ ენაზე ადგილობრივი მოსახლეობა ცუდად, ან საერთოდ ვერ საუბრობს. მათ უჭირთ აღიქვან საკუთარი თავი ქართული პოლიტიკური ერთობის ნაწილად.

რეგიონის ფორმალური მმართველობითი სტრუქტურები მყიფეა. მიუხედავად იმისა, რომ ორ მუნიციპალიტეტს არჩეული საკრებულოები ჰყავს, ადგილობრივ ხელისუფლების გავლენები და უფლებამოსილება სუსტია. სანაცვლოდ, ძალაუფლება საქართველოს უსაფრთხოების სამსახურების ხელშია კონცენტრირებული, რომლებიც ღიად აცხადებენ, რომ მათი მიზანი სეპარატიზმის პრევენცია და ტრანსსასაზღვრო დანაშაულის კონტროლია. ეს უწყებები რეგულარულად ერევიან ისეთ საკითხებში, რომლებიც მათი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება – დაწყებული განათლებიდან, დამთავრებული კულტურული საქმიანობით. ისინი, ვინც დამკვიდრებულ წესრიგს ეწინააღმდეგებიან, იქცევიან მუქარისა და დაშინების სამიზნედ, რომელიც მათი და მათი ოჯახის წევრების მიმართ ხშირად ისმის. ასეთ გარემოში აქტივიზმი მხოლოდ რთული კი არა, რეალური რისკების შემცველიც არის.

ამავდროულად, რეგიონს გარე მოკავშირეებზე დაყრდნობა აღარ შეუძლია. 1990-იან წლებში სომხეთი ჯავახეთის სომხებს გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას სთავაზობდა. მაგრამ როგორც კი მისი გეოპოლიტიკური პოზიცია დასუსტდა და რეგიონული წვდომისთვის საქართველოზე მისი დამოკიდებულება გაიზარდა – ერევანმა ეტაპობრივად უკან დაიხია. 2000-იანი წლების დასაწყისისთვის სომხეთმა თანდათან გაწყვიტა ყველა პოლიტიკური კავშირი ჯავახ აქტივისტებთან, რომელთა საქმიანობაც თბილისის გაღიზიანებას იწვევდა.

> თუნდაც მინიმალური ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პირობებში, როგორიცაა მაგალითად, ცოდნის გაზიარების ქსელები, თანამოაზრეებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები და მცირე გრანტები, ეს მცდელობები, შესაძლოა, ჯავახეთში მდგრადი სამოქალაქო კულტურის მამოძრავებენ ძალად გარდაიქმნას.

პოლიტიკური კონფორმიზმის ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინო საარჩევნო პერიოდებში ხდება ხოლმე. ჯავახეთში მუდმივად და დიდი უპირატესობით იგებს მმართველი პარტია. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართულ ოცნებამ“ რეგიონიდან 90%-ზე მეტი ხმა წაიღო – ქვეყნის მასშტაბით სარეკორდო მაჩვენებელი. იგივე განმეორდა 2012 წელსაც, ხმების დიდი უმეტესობა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – მაშინდელ მართველ პარტიას ერგო, რომელმაც ქვეყნის რეგიონების უდიდეს ნაწილში არჩევნები დათმო, მაგრამ არა – ჯავახეთში. ამგვარი ტენდენციები ეჭვსა და სკეფსისს იწვევს: ოპოზიციური პარტიები ადგილობრივ მოსახლეობას შედეგების გაყალბებაში ადანაშაულებენ. თუმცა,

თითქმის არავის აინტერესებს ფესვგამდგარი პოლიტიკური კონფორმიზმის რეალური საფუძვლები ან ის სტრუქტურული წამახალისებელი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს რეგიონის ერთგულებას მმართველი ძალის მიმართ.

სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი შეზღუდვების ფონზე, სათემო მოხალისეობას აქვს პოტენციალი, დემოკრატიული ჩართულობის უკანასკნელ სიცოცხლისუნარიან ფორმად იქცეს. ჯავახეთში, შესაძლოა, ეს ფორმა ერთადერთიც კი იყოს.

და მაინც, მიუხედავად სახელმწიფო კონტროლის სიმძიმისა, იზოლაციისა და დემოგრაფიული პრობლემებისა, ჯავახეთში მიმდინარეობს სამოქალაქო ცხოვრება. უხმაურო, თუმცა ტრანსფორმაციული მნიშვნელობის მქონე პროცესების უკან არ დგას არც სახელმწიფო და არც უცხოელი აქტორები, არამედ ადგილობრივი თემები, რომლებიც საკუთარ გზებს პოულობენ პრობლემების გადასაჭრელად.

კუმურდოში, სოფლის ერთ-ერთი მკვიდრის მიერ 4 მილიონი დოლარის შემოწირულობის შედეგად თანამედროვე სტანდარტების სკოლა აშენდა, რომელსაც მთელი რიგი ინიციატივები მოჰყვა: ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით მოეწყო გზები, აშენდა საბავშვო ბაღები და საჯარო ადმინისტრაციის შენობები. ეშტიაში, რომელიც ძირითადად სომეხი კათოლიკეებითაა დასახლებული, WhatsApp-ის ჯგუფის მეშვეობით დიასპორის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა რეგულარულად აგროვებს თანხას გადაუდებელი სამედიცინო ხარჯების ასანაზღაურებლად, სასკოლო ინვენტარის შესაძენად და თქვენ წარმოიდგინეთ, სტადიონის ასაშენებლადაც კი.

ადგილობრივი აქტივისტები, მათ შორის გულნარა ელისბარიანი, რომელიც დაუღალავად შრომობს ქალთა ჯანმრთელობისა და სამოქალაქო განათლების საკითხებზე, და ენოქ ბაბაჯანიანი, რომელმაც რეგიონის პირველი მაღალტექნოლოგიური სათბური ააშენა და ფერმერთა ციფრული ქსელი ჩამოაყალიბა, იმის ნათელი მაგალითები არიან, თუ როგორ აღმოცენდება ცოდნა და ლიდერობა უშუალოდ სათემო დონიდან. მაგალითად, პარუირ მადოიანი, საკუთარი თემის ჟამთააღმწერლად იქცა და ამავდროულად, ფეისბუქის ჯგუფი ანგარიშვალდებულების პლატფორმად გადააქცია. ორჯაში, ახალგაზრდების წინამძღოლობით მომუშავე სამკითხველო კლუბი წარმატებით ზრუნავს ადგილობრივების კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და ღია დიალოგების გამართვისთვის ისეთი თემების შესახებ, რომლებიც, როგორც წესი, ვერ ექცევა ფორმალური განათლების პრიორიტეტებში. „ჯავახეთის მხარდაჭერის ფონდის“ მეშვეობით, სომხური დიასპორის წევრები ცდილობენ აღადგინონ კულტურის გამორჩეული ძეგლები და სახლ-მუზეუმები, რომლებიც სამოქალაქო სივრცის ფუნქციასაც ითავსებენ.

ეს, ერთი შეხედვით მოკრძალებული მასშტაბის ინიციატივები, სინამდვილეში ბევრად უფრო მნიშვნელოვან გარდატეხაზე მიანიშნებს: ეს არის ადგილობრივი აგენტობის — თემების მიერ საკუთარი ძალის რწმენა. ტრადიციული „ენჯეო“ გაგებით, ამ ინიციატივებს პროექტებსაც კი ვერ ვუწოდებთ. მათ სათავეში პროფესიონალი აქტივისტებიც კი არ დგანან. სამაგიეროდ, ისინი წარმოადგენს სტრუქტურული პრობლემების — განათლების, იზოლაციის, ეკონომიკური სტაგნაციის მკურნალობის „შინაურ“ რეცეპტებს. მათი წარმატება განპირობებულია იმ ადამიანების ნდობით, რომელთა კეთილდღეობასაც ეს ინიციატივები ემსახურება. მათი უმეტესობა არაფორმალურ ხასიათს ატარებს, დაბალბიუჯეტური და მოხალისეობრივია. მიუხე-

დავად ამისა, თემიდან წამოსული ინიციატივები წარმატებას აღწევენ იქ, სადაც ფორმალური ინსტიტუტები უძლურია.

თუნდაც მინიმალური ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პირობებში, როგორიცაა მაგალითად, ცოდნის გაზიარების ქსელები, თანამოაზრეებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები და მცირე გრანტები, ეს მცდელობები, შესაძლოა, ჯავახეთში მდგრადი სამოქალაქო კულტურის მამოძრავებენ ძალად გარდაიქმნას. სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი შეზღუდვების ფონზე, სათემო მოხალისეობას აქვს პოტენციალი, დემოკრატიული ჩართულობის უკანასკნელ სიცოცხლისუნარიან ფორმად იქცეს. ჯავახეთში, შესაძლოა, ეს ფორმა ერთადერთიც კი იყოს.

დაბოლოს, რეგიონში ცვლილება არ დაიწყება თბილისში მომზადებული მოხსენებებით ან უცხოური ორგანიზაციების მიერ შემუშავებული განვითარების გეგმებით. იგი დაიწყება სოფლის სამზარეულოებში, საკუთარ ბიბლიოთეკებსა და სათბურებში — იქ, სადაც ჩუმად, მაგრამ ცალსახად, უკვე დაწყებულია.